


„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სა-
რაფოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე
ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე
მცხოვრებთათვის აღრესი: Тифлисть, ред. „ДРОБЯ“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—
8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ.
6 თვ.—5 მ., 5 თვ.—4 მ., 50კ., 4 თვ.—4 მ., 3
თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროების“ ღირს 5 კაპეიკი.



გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე
8 კ.; პირველზე 16 კ. სრული სტრიქონზე გვერ-
დი 25 მანათი; პირველი 50 მ. რედაქციაში
ნებისა ითვლება მათგან დაქვრივების ადგილის გვ-
ლობაზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გააჩვენებს და შეამო-
კვებს დასაბუთებელ გამოცხადებულ წერილებს. დაუბრუნებელ წერი-
ლებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

Объявления изъ Россіи, Царства Польскаго и за-
границы принимаются только въ цент. конторѣ объяв.
Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

„დროების“ ფასი აგვისტოს პირველიდამ წლის
დამლევამდე 4 მან. და 50 კაპ.; სოფლის მასწავლე-
ბელთათვის 3 მან. და 50 კაპ.

ფაროსინი იაკობის ასული

ჭიჭინაძისა

რომელსაც სწავლა შეუსრულებია
სანკტ პეტერბურგის უმაღლესს საქა-
ლებო სასწავლებელში, ამ წლის
პირველის სექტემბრიდამ ხსნის ქა-
ლაქს მუთაისში მოსამზადებელს
სასწავლებელს ორის წლის კურსით,
რომელიც ამზადებს ქალებს საქლე-
ბო გიმნაზიის პირველის კლასისა-
თვის, ვაჟებს სავაჟო გიმნაზიის მოსამ-
ზადებლის კლასის უფროსის განყო-
ფილებისთვის.

სასწავლებელში მიიღებიან ბინი-
დამ მოსიარულე ყმაწვილები პანსიო-
ნი არ იქნება, და სწავლისათვის გა-
დახდებთ სასწავლო წელიწადში ორ-
მოცდა-ხუთი მანათი (45), რომე-
ლიც წინ-დაწინ უნდა შემოიტანონ
მესამედობით. მისაც ჰსურს ყმაწვილე-
ბის მიზარება ამ სასწავლებელში, წე-
რილებით უნდა განუცხადოს თავისი
სურვილი სასწავლებლის დამაარსე-
ბელს იელისის 22-დამ აგვისტოს 25-
მდის.

აღრესი: მუთაისი, გოსპიტლის ქუჩა
სახლი ნიკოლაძისა. (6—5)

ვითომ საშიშა?

თბილისი, აგვისტოს 4-ს.

საფრანგეთმა და ბერმანიაკ კვალად
ერთმანეთს შეუტყეს... შეუტყეს არა
თოფ-იარაღით და დარაზმული ჯარე-
ბით, არამედ მელან-კალმით და ზო-
გიერთა ცხარე დებუტატების ლანძლ-
ვა-გინებით. რაზედ ატყდა უცრად
ეს მშვიდობიანი ბრძოლა, ძნელი გა-
მოსაცნობი არ არის იმისთვის, ვინც
კი პოლიტიკას თვალ-ყურს აღევნებს
და ნახსენებ მიზეზს გარდა, სხვა
უფრო ღრმად ჩამალულ მიზეზებს
ეძებს.

ბაზეთმა «Temps»-მა გამოაცხადა,
კარგი სქენება საფრანგეთის აღმოსავ-
ლეთით ჯარების რიცხვს მიუმატო-
თო. ეს ბისმარკის ორგანმა მუქარად
მიიღო და გაჯავრებულმა, სხვათა
შორის, წარმოასთქვა: «ჩვენ შევეჩვიე-
ნით ფრანკულების აპილპილებას, რო-
გორც შეჩვეულნი ვართ წვიმასა და
ქარიშხალს, რომელთაც უეჭველად
კვი დარი მოსდევს, მაგრამ თუ მათი
უგვანი ქცევა ზომას გადავა, მაშინ,
მაშინ... კარგად მიხედებით, რას ემუქ-
რის მაშინ ბერმანია საფრანგეთს,

რი და თვითონაც თხის კული მაინც
ირგუნოს, — რაღა მოვლის იმას ამის-
თანა ნაკლებ მოსავლიან დროს, რო-
გორც არის წრეწარდელი წელიწადი
ბორის მაზრაში.

შთოვლო, სუსხიანმა ზამთარმა ჯერ
სულ არა ამოიყვანა-რა დედა-მიწიდან
და რაც ამოვიდა, ისიც უდრო-უდროდ
მოასწრაფა სიციხიანმა მშრალმა ქარმა,
რომელსაც აქ ქვედა-ქარს ეძახიან.
სარწყავ ადგილებში, საცა ათასი ვაი-
ვავლანით და ერთმანეთში ჩხუბებით
გაჰყავდათ თითო ნაკადული წყალი,
კიდევ მოვიდა რამე, მაგრამ ურწყავ-
ში კი ზოგან ხელით საგლეჯი იყო,
ზოგან ისიც არა. პურის მოუსვლე-
ლობასთან, უთივობა და უბალახობა
ნაკლებ არ აზიანებს სოფლებს, რა
დგანაც იმის უპირველესს ცხოვრების
სახსართაგანს შეადგენს საქონელი.
მთელ ბორის მაზრაში გამოჩენილ
ტირიფონის სათივებში ორი ურემი
თივაც არავის გაუთიბნია და საქონე-
ლი ლამის გაუწყდეთ უბალახობის
გამო, ისეა დამწვარი დედა-მიწა გვალ-
ვისაგან.

ემუქრის დანაწილებას, განადგურებას,
მიწასთან გასწორებას.

შინ მოიფიქრებდა ასე უცრად შე-
მოწყობას და პირის მიბრუნებას იმის
შემდეგ, რაც ეს ორი სახელმწიფო
თანხმად მოქმედებდნ როგორც მე-
ვიპტის საქმეებში, ისე შორეულ კო-
ლონიებში. მართალია, საფრანგეთის
პარლამენტში ბისმარკისაგან მიჩნეული
ნამინისტრალი შერი მეტის-მეტად გაა-
ბრიბარუეს, «პრუსიელი» და «მოლა-
ლატე» უძახეს, მაგრამ განა ამისა-
თვის ბისმარკი თავს აიტკიებდა და
მეიდანზედ გამოვიდოდა?! ბერმანიაში
კარგად იციან, რომ რამდენიმე საუ-
კუნემ უნდა გაიაროს, ვიდრე ფრან-
კულები აღზახსა და ლორენს დაი-
ვიწყებდნ და ბევრი ამისთანა მკვა-
ხე სიტყვები ითქმის როგორც პარ-
ლამენტში და გაზეთებში, ისე ყოველ
გვარ ფრანკულების ყრილობებში; მა-
შასადამე მოსალოდნელი შეურაცხება
პრუსიელებს ისე არ გააცხარებდა და
თუ ბისმარკის ორგანმა უცრად პო-
ლიტიკა შეიცვალა, ფრანკულებს გვერ-
დი აუქცია და თავის ოლიმპიური სი-
მალიდამ ქექა-ქუხილით მიმართა
ვის წინა-დღის მოკავშირეთ, — ეს იმას
ამტკიცებს, რომ იგი ეხლა საფრან-
გეთს აღარ საჭიროებს, მას სხვა უფ-
რო მკვიდრი და უფრო მომთმენო მო-
კავშირე ჰყავს.

შინ არის ეს მოკავშირე, — ადვილი გა-
მოსაცნობია; ეს არის ინგლისი, რომელ-
საც ეხლა ბისმარკისათვის საამო პირნი
განაგებენ. მტყობა ბისმარკს იმედი მიე-

რასაკვირველია, გვალვისავე მიზე-
ზით აიხსნება, რომ თითქმის მთელ
მაზრაში მოდებულია საქონლის ავად-
მყოფობა — თურქული, რის გამოც
მწველელი საქონელი სრულებით შრე-
ბა და შესაბამელი კი ველარ იმუშავე-
ბა რამდენიმე თვეობით.


აი ამისთანა დროს კისრულობს
ხალხი მძიმე, უზარ-მაზარ ტვირთს —
გზა-ტყეცილის კეთებას ბორიდან
სხინვალამდე და იმას იქით, მარჯვნივ
ჯაყის-ხეობისკენ, მარცხნივ — სალო-
ლაშისკენ....

ჩვენი სიღარიბის ერთი მიზეზთაგა-
ნი მუდამ ყოფილა და არის კიდევ
უგზობა, რისგამოც სოფლის მწარ-
მოებელთ მეტად უმწიფრებდათ რო-
გორც ერთმანეთში მისვლა-მოსვლა,
აგრეთვე ბაზარ ალაგას ნაწარმოების
გადატანა: ეს საქმე ბევრს დროს, ხარჯ-
სა და წვალებას თხოულობს. მთ-
რომელიმე გზის გაყვანა ამ ხარჯს და
წვალებას მოაშორებს მცხოვრებლებს,
რასაკვირველია, ყველა იმათგანი მო-

ცა ამ სამინისტროს გამარჯვებისა მომა-
ვალს არჩევნებზედ; ეტყობა ამ სამინისტ-
როს მკვიდრი საძირკველა გამოუჩნდა,
რომ ისეთი პოლიტიკოსი, როგორც
ბისმარკია, პოლიტიკურ ერთეულად
სთელის და მასზედ ამყარებს შორს-
გამკვრეტელ ანგარიშებს.

ამ პოლემიკასთან ერთად საფრან-
გეთისა და ბერმანიის შორის დიდი
მნიშვნელობა აქვს დრუმონდ ვოლფის
გაგზავნას ოსმალეთში. პოველის
მხრიდამა სჩანს, რომ ვოლფს ფრიად
საკირო მინდობილება აქვს და ამ
მინდობილობას არ მისცემდა თავის
ელჩს სალისბიურის კაბინეთი, თუ
საიდანმე იმედი არ გასჩენოდა ოსმა-
ლეთის დათანხმებისა და მისკენ გა-
დაბირებისა, — და ვინ მისცემდა ამ
იმედს, თუ არ იგივე და იგივე ყოე-
ლად ძლიერი ბისმარკი, რომელმაც
ოსმალეთის ცბიერ მინისტრებზედაც-
კი თითქმის გრძნეულის ძალა და გავ-
ლენა მოიპოვა.

მაშ თავისით ნემცებისა და ფრან-
კულების კალმით შეტაკებას მნიშვნე-
ლობა არა აქვს-რა და იგი მხოლოდ
მხეცნებელია იმ პოლიტიკური მდგო-
მარობისა, რომელშიაც ამ ყამად
ვერობაა..



შინაური ქრონიკა

სოფ. ტულაშში სამტრედიის
ახლო ამ თვის 29-ს ძლიერი ცეცხლი

ვალეა მოეხმაროს და შეეწიოს ამ გზის
კეთებას...

შნლანდელი გაკეთებული გზა-ტკე-
ცილი მართლაც რომ ასრულებს თავის
დანიშნულებას და ისე გაყვანი-
ლია, როგორც საერთო საჭი-
როება მოითხოვს. თითქმის ეს სამი
თვეა მუშაობენ და ძლიერს ბოლო
მოუღეს ამ გზას..

როგორც იყო მოჩინენ და გაათა-
ვეს. ღარჩა მარტო რამდენიმე ვერს-
ტი, სხინვალიდამ თამარაშნამდე, ქვი-
შა-დასაყრელი, და ისიც იმიტომ,
რომ მთის ხალხს, რომელსაც ერგო
გასაკეთებლად ეს ნაწილი გზისა,
ურმები არა აქვს ქვიშადაყაროს.
ამათ, მეტი ღონე არ იყო, მიმართეს
ურმების პატრონ ბარის ხალხს და
ორას თუმანზე ნაკლებ არა ვინ იკისრა
ამ მანძილზედ ქვიშის დაყრა...


იმათ ითხოვეს, სადაც ჯერ არს,
რომ რამდენიმე თვით მაინც დაგვა-
ცადეთ, რადგანაც ერთის მხრივ კა-
ლოობაა და საქონლის ავადმყოფობა,
მეორეს მხრივ ჩვენმა მონარდებმა,
რომელთაც ქვიშის დაყრას ვურთგდე-

ხმა პრუკინციადამ

III

არ სანატრელი მოხსნილობა. — ნა-
კლები მოსავალი და საქონლის ავად-
მყოფობა. — გზა-ტყეცილის კეთება. —
ფუფაღა რას იხებებს? — გუბერნატო-
რის მოპანება. — მეორედ მოსვლის
ნიშნები. — ნორმალური სკოლის ბე-
დი. — მალტუსის კანონი მართლდებდა
ცხინვალელ გზადასრულებზედ. — გრაჟ-
დანებისა ლაპარაკი ზიდზედ. — შუ-
შურ-კლები ცხინვალში. — საიდგან
სად! — რას მივაწეროთ?

მრთხელ თურმე რუისელებს ჰკით-
ხეს: «როგორი მოსავალი მოგივიდა-
თო?» — «პარგი, მაგრამ ჩვენ და გო-
რელებს მაინც არ გვეყოფაო!» ეს პა-
სუხი, რომელსაც აწერენ რუისელებს,
ნათლად და მოკლედ გვიხატავს იმ
დამოკიდებულებას, რომელიც სუფევს
ყველა ჩვენი სოფლებების და სხვა
და სხვა აღებ-მიცემობის მქონე პირ-
თა შორის: მოსავლიან წელიწადს რომ
ვერ ახერხებს ხალხი გაისტუმროს თავისი
მტერი და მოყვარე, ერი და ბე-



გაჩენილა და ექვსი მოსახლე ებრაელი სრულიად ულოყმა პუროდ დარჩენილან. არც ბინაა მათთვის, არც ოჯახის სამკაული, არც კირანხული! მრამოც ბავშვამდე მეტია თურმე ამ ებრაელების ოჯახში და მათი საცოდაობა ქვასაც აატირებს.

==ბაზეთს «ქაჯაშში» დაბეჭდილია ბ. იურისონის შემდეგი წერილი, რომლიდანაც ცხადდა სხანს მბილისის მიხეილის საავადმყოფოს უწესოებანი.

«ზამეგონა, რომ მბილისის მიხეილის საავადმყოფოში წამლობა შეუძლებელია, რადგანაც მოსამსახურეთა თავხედობას სამზღვარი არა აქვს და საზოგადოდ ავადმყოფებს მცირე ყურადღებას აქცევენო, მაგრამ რადგანაც სამსახურიდან გამოსული აფიცრები ვალდებულნი არიან ამ საავადმყოფოში შევიდნენ მოსარჩენად, ამისათვის იელისის 11-ს შევიდი იქ საწამლებლად და მეექვსე პალატაში დავექვი; პირველს ღამეს თითქმის არ დამძინებია, მხოლოდ განთიადისას თვლება დამაწყებინა და დავექვი; რამდენიმე წამის შემდეგ ჩემს ოთახში შემოვიდნენ ოთხი მოსამსახურე პაპიროზებით (თუმცა პაპიროზის მოწვევა წესდების ძალით სასტიკად აკრძალულია) და დაიწყეს მათგან იმ ღამეს ჩადენილს საქმეებზედ ლაპარაკი საშინელის უშვერის სიტყვებით. დიდხანს ვითმინე, მეგონა, რომ წავიდოდნენ, მაგრამ საუბედუროდ მათ უფრო მოუმატეს ლაპარაკს და მე იძულებული შევიქნენ მეთქვა მათთვის: «თქვენი ვალია წესიერება და მკურნოება დაიცვათ და თქვენ კი სწორედ ამის წინააღმდეგ იქცევით.» ამასდღე უფროსმა მოსამსახურემ მიპასუხა: «ჩვენ ხომ შენ არაფერს გიწავებთ.»

«იმ დღეს მე ყურადღება არაფერს მივაქციე, მხოლოდ შუალამის შემდეგ შემომესმა ყვირილი და სიმღერა დამთვრალის მოსამსახურეებისა, რომელნიც

დერეფნებში ისდნენ; უნდა ისიც ვსთქვათ, რომ ღამ-ღამობით ავადმყოფების ოთახებს არაფერ ათვალიერებს. მეორე დღეს, სადილოს უკან, როდესაც მეცა და სხვა ავადმყოფებიც დასაძინებლად დავექვით, ჩვენს ახლო მდებარე ოთახში უფროსმა მოსამსახურემ ჭურჭელს დაუწყო რეცხვა და ისე ღონივრად ჰყრიდა სტოლზედ, რომ ჭურჭლის ქლარა-ქლური ყველა ოთახებში ისმოდა; მე დაუყვირე, რომ დერეფნის კარები მაინც მოეხურათ, მაგრამ რაკი ხმა არაფერ გამცა, თვითონ მე წამოვდექი კარების მოსახურავად. ამ დროს იგივე მოსამსახურე გამოვიდა, კარების მოხურვისა ნება არ მომცა და დამიყვირა: «შენ რომელი თავადიშვილი ბრძანდები, რომ აგრე იქცევი.» მე ვთხოვე დეჟურნი ექიმს მშვიდობიანობა ჩამოეგლო, მაგრამ მან მითხრა, რომ ყოველსავე ამას უფროსს ექიმს შევატყობინებ და შენ კი ზედამხედველს შეატყობინეო. საქმის გამოსაძიებლად მეორე დღეს ერთი ექიმი მოვიდა. ჯერ მისთვის არაფერი მეთქვა, რომ უფროსი ექიმიც შემოვიდა. მან ჯერ მოსამსახურეებს გამოჰკითხა, შემდეგ მე მომიბრუნდა და მითხრა: «თუ გინდ რომ კიდევ ვთქვა მოსამსახურეს: შენ რომელი თავადიშვილი ბრძანდებიო, მაგაში საწყენი არა არის-რა და თუ ბევრს ილაპარაკებ, მე ვიცი რასაც გიწამ.»

«ილის საუბრეზედ თუ პური დარჩათ ავადმყოფებს, მაშინვე მოსამსახურეებს მიაქვთ თავიანთთვის.

«პირველი განყოფილება ხუთი ოთახისაგან შედგება და არც ერთს ოთახში საათი არ მოიპოვება, რის გამოც ავადმყოფები წამალს უდროოდროსა სმენ, თუმცა ექიმისაგან ნათქვამი აქვთ წამლის დაღვევა საათში ერთხელ, ორ საათში ერთხელ და სხვ.»

როი დარიგებით, და შეძლების დაგვართ, ყოველი საჩივრის და თხოვნის დაუყოვნებლივ დაკმაყოფილებით ბ. გუბერნატორი იზიდავს ხალხის გულს, და ყველა დაჩაგრულის სასოება იმაზედ არის მიმართული...

ამ განაჩენების საქმე კი როგორც იყო გათავდა მაგრამ მეორე სასოფლო განაჩენების საქმე კი არ გათავებულია და არცა რა ისმის-რა. მე მოგახსენებთ სკოლების განაჩენზედ, რომელნიც წინა დღეებში შედგენილნი და არ ვიცით წინანი უკან რად მოექცნენ ..

სკოლის საქმეს კი უფრო მეტის ენერგიით, მეტის სურვილით და თავგამეტებით უნდოდა ხელის მოკიდება, ვიდრე სხვა საქმეს. რადგანაც ჩვენ ვიცით, ორმოცამდე სხვა და სხვა სასოფლო გადაწყვეტილება შესდგა სკოლების განსწავლად ამ ორი წლის წინა დღე და ჯერ-ჯერობით არც ერთი იმათგანი არ შესრულებულა; არც

== მალაქში ჩამოვიდა ნუხილამ ვილაც მ—სოვი რაიმე ალავის საშოვნელად და მალეც იშოვა ვილაც მრბელ-ბელახიანის კერძო სკოლაში მასწავლებლობის ადგილი. შემდეგ მას გაეცნო გაკოტრებული ვაჭრის მ—როვის ქალი, რომელიც ცოლად ეთხოვნა. ძალის მშობლები დათანხმებულიყვნენ, თავიანთი ქალი მიეთხოვებინათ და ოთხასი თუმანიც ფულად მიეცათ მშთივეში. თურმე ნუ იტყვიო მ—სოვი სხვა ქალზედ ყოფილა ჯვარ-დაწერილი და ამისაგან ორი შეილიცა ჰყოლია. პირველს ცოლს რაკი დიდხანს არაფერი გაეგო თავის ქმრისამბავი, ამდგარიყო და თავის ორი შეილით თითონაც ქალაქში ჩამოსულიყო. წარმოიდგინეთ ამ ქალის გაკვირება, როდესაც უთხრეს მას, რომ შენმა ქმარმა მეორე ცოლი შეირთო, მ—როვის ქალიო.

ძალმა დაუწყო ქმარს ძებნა და ბოლოს მიავნო: იგი თავის მეორე ცოლით მ—როვის სახლში იდგა. მან გამოიხმო თავის ქმარი, ბავშვები წინ დაუყარა და დაუწყო ლანძღვა-გინება. ეს ხმაურობა მეორე ცოლმა გაიგონა და გულს შემოეყარა. მისმა მშობლებმა პირველს ცოლს დაუწყეს 1,000 მან ძღვევა, შემდეგ 2,000, 3,000 და ბოლოს 5,000 გაუხადეს, ოღონდ კი ქალაქიდან წასულიყო და თავის ქმარი დაევიწყნა, მაგრამ იგი დღევანდლამდის თურმე არ თანხმდება და თავის ქმარს თხოულობს.

== მთავრობის წინაშე წარუდგენიან განსახილველად წესდების პროექტი ახლის კომპანიისა, რომელსაც განზრახვა აქვს ბაქოს ახლოს ზაფრანის პლანტაციები გამართოს. ღღევანდლამდის ზაფრანის პლანტაციები თათრების ხელშია და წელიწადში 200 ფუთამდის ზაფრანა მოჰყავთ; საქმე რომ რიგზედ წავიდეს, ერთი-

არაფერ იცის, შესრულებდებიან თუ არა?...

სკოლის საქმეში უზრუნველობის მიზეზი ის არის, რომ იქაური ურიები, რომელნიც შეადგენენ სხინვალში უმრავლესობას, ზურგს უქცევენ სკოლას და ამის გამო სასოფლო გარდაწყვეტილება არა სდგება-რა სკოლის გაუმჯობესობისათვის. ურიები თავის შეილებს სკოლაში არ აბარებენ და არც ხარჯი უნდათ იკისრონ ამ საცოდაობაშია სკოლა ურიების გადაშკიდე, მაგრამ არც კი თვით ურიები არიან უკეთესს მდგომარეობაში. თუმცა სხინვალელი ურიები ვენახისა და მამულების პატრონებიც არიან, მაგრამ არც ერთი იმათგანი ჩვეული არ არის მამულის მუშაობას, სხვა ხელობაც არა ენერჯებათ-რა და არიან დამყარებულნი მარტო თავიანთ არმიწუნდ...

სხინვალს რომ ზურგი შეუქციოთ, არ ავცდებით ლიხვზედ ხილს: ეს არის ერთად ერთი სასიერო და სალაყ-

ორად უფრო მეტი ზაფრანა მოცა. ზაფრანა უფრო ბაქოში, სხინვალში და შამახიაში იყიდება, შერე აქედან რუსეთში და სპარსეთში მიაქვთ. მაღალი ხარისხის ზაფრანა ფუთი 200 მან. ღირს, დაბალისა 90 მან. (მოსკოვსკია მედომოსტი).

«დროების» კორექსორდენსია

სურამი. ივლისის 21-ს, შარშან გაზაფხულზედ ჩვენს დაბაში მოვიდა ვილაც ბეგლარ-ბეგი დოქტორ-აკუმერის სახელით და დაიწყო წამლობა. ჩვენმა აფთიექარმა თუმცა იცის, რომ ბეგლარ-ბეგს ეს ხარისხი არა აქვს, ყოველ-ნაირ წამალს აძლევს იმის რეცეპტებით, რომლებზედაც აწერია: «დოქტორი აკუმერი ბეგლარ-ბეგი». ჩვენს საზოგადოებას და მეც გვეგონა, რომ ბეგლარ-ბეგი მართლა დოქტორია, მაგრამ ამ გაზაფხულზედ აქაური სამხედრო ლაზარეთის ექიმებმა მიაქციეს ამ გარემოებას ყურადღება და სთხოვეს ადგილობრივს პრისტავს მისს პიროვნობაზედ ცნობები შეეკრიბა. ზამოძიების შემდეგ ბეგლარ-ბეგს დოქუმენტები არა აღმოაჩნდა-რა და ექიმების თხოვნა გაეგზავნა მარხის უფროსს.

ამ ამბის შემდეგ რამდენიმე სურამის მცხოვრებთ, ვილასაგანაც ჩაგონებულთ, თავი მოიყარეს, შეადგინეს განაჩენი და გაგზავნეს თხოვნა ძავეასიის ექიმების უმთავრესს ინსპექტორთან, რომ მან მისცეს ნება ბეგლარ-ბეგს სურამში ექიმობისა. როგორც ეტყობა ექიმების თხოვნას ყურადღება არ მიექცა და ბეგლარ-ბეგი დღემ-

ბო ადგილი... ამ სალაყბოში უცხო კაცი ადვილად მიხედება ცხინვალელების დღის ვარაშს. პი ხიდზე მოსიერე ცხინვალელ «გრაჟდანკებს» რაღაც ალიაქოთი შეუდგათ; ერთი იმათგანი წამოხტება სკამიკიდან:

— «ბა, ქალებო, კლუბიდან ზნაჩოკი მოგვეცეს: ორი ანთებული სანთელი სდგას აქეთ ფანჯარაში, წავიდეთ და გავაჩალოთ ლოტო! პირობა კი არ დავაფიწყდეთ: ამაღამ უნდა მამაგებინოთ, სუ წაგება როგორ იქნება?!

— «ნეტა რას მიქარავ, თვალებიც დაგიდგება! კლუბი ისეთი აპერაცია არის, რომ წაგებაც უნდა, მოგებაცა!

— «სუუთ!...» დაბლა ხმით ჩა ერევა მათ «სოროში» მესამე «გრაჟდანკა»: «ჩუმად იყავით, კლუბის სახელი აღარ ახსენოთ: სემეინი დომია, სემეინი დომი! გესმით: სემეინი-პი დომი! ახალი ჩინოენიკი მოსულა და გამოუცხადებია, რომ კლუბის ნება არა გაქვთ, უნდა დაგიკეტოთ!»



მესამე გამოც. — 96 მ. გუ.
 5% მომგები ბილეთები
 I შინაგანის სესხისა — 218 1/2 მ. გუ.
 5% მომგები ბილეთები
 II შინაგანის სესხისა — 212 1/4 მ. გუ.
 ოქროს რენტა — 174 1/4 მ. გუ.
 თბილისის საადგილ-მა-
 მულო ბანკის გირავნობ.
 შურცლები — 43 წ. 88 მ. გამუ.
 ქუთაისის საადგილ-მა-
 მულო ბანკის გირ. შურც. — 18 წ. 91 მ. გამუ.
 43 წ. 89 მ. გამუ.

ცნობანი

საავადმყოფოს დირექტორი ბ-ნი ვერმიშვინი ამით აცხადებს რომ ქ. თბილისის მოქალაქეთა მიერ გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარსებულს საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად შემოღებული არის მცხოვრებთა შეღავათისათვის ღამდამობით მორიგად ყოფნა ბბ. ექიმთა და ბებიათა.

ექიმები:

არუთინიანი, ორშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

კორონა, სამშაბათობით და შაბათობით.

მელიქ-ფარსადავოვი, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ბავიშვილები:

ვილჩაქოვისა, სამშაბათობით.

ბავინოვისა, ორშაბათობით და პარასკევობით.

სტუპანოვისა, ოთხშაბათობით და შაბათობით.

ლოქოვისა, ხუთშაბათობით და კვირაობით.

მაზნადა

ხორავისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, ღუქნებში და ხელდახელ 1 მარიაშობისთვიდამ 15 მარიაშობისთვიდამდე 1885 წ.

გამომცხვარი შურა რუ-სეთის ფუჭილისა — 1 გ. 5 მ.

აქაურის ფუჭილისა: პირ-კელის ხარისხისა — 1 გ. 2 1/2 მ.

მეორისა — 1 გ. 2 მ.

იმავე ფუჭილისა თორნეში გამოიმ-ცხვარი:

პირველი ხარისხისა — 1 გ. 4 1/2 მ.

მეორისა — 1 გ. 3 მ.

მესამისა — 1 გ. 2 1/2 მ.

ჯვარის-მამის შური:

პირველის ხარისხისა — 1 გ. 4 1/2 მ.

მეორის ხარისხისა — 1 გ. 3 1/2 მ.

მესამისა — 1 გ. 3 მ.

ძროხის ხორცი:

პირველის ხარისხისა — 1 გ. 7 მ.

მეორისა — 1 გ. 6 მ.

სუკი — 1 გ. 14 მ.

ცხვრის ხორცი — 1 გ. 8 მ.

ღორის ხორცი:

პირველის ხარისხისა — 1 გ.

მეორისა — 1 გ.

თვისათვის I განყოფილებაში ოც-დამეტი ვაკანსია იქნება, II მეორეში — ორი (2), III მესამეში — (4) ოთხი და IV მეოთხეში (15) თუთხმეტი. პირველ განყოფილებაში შემსვლელთ ეგზამენი არ მოეთხოვებათ, მეორის, მესამისა და მეოთხისათვის განყოფილებაში შესაფერი ეგზამენი უნდა დაიქირონ; თხოვნა უნდა შემოიტანონ ინსპექტორის სახელზე აგვისტოს 20-დგან 29-მდის და ამასთანავე წარმოადგინონ წლოვანების და აზნაურობის მოწმობანი. თუ აზნაურობის მოწმობანი არ ექნებათ, ბანკის მოწმობა მაინც უნდა იქონიონ, რომ ყმაწვილის მშობელი (დედა ან მამა) ბანკის დამფუძნებელთა შორის ითვლებად. სწავლა პირველ ენკენისთვის დაიწყება, თუ მანამდის სახლი მოსრულდა.

ამა მდგომარე წლის საბანკო კრების გარდაწყვეტილებსამებრ, სასწავლებელი მთელი გუბერნიის თავდაზნაურთათვის არის დაფუძნებული და ვისთვისაც სამხროა, ყველას უფლება აქვს ამ სასწავლებელში შვილი შემოიყვანოს. (10—1)

პოსოკ

იმ პირთ, რომელთაც აქეთ შავის ზღვის პირზედ, რიონზედ ან სხვა დიდ მდინარეებზედ

გუხის ტყეები

და სურთ მათი გაყიდვა, ან იჯარით გაცემა ექსპლუატაციისათვის, მოამბართან მე ამ წლის სექტემბრის ათამდე, მაცნობონ თავიანთ პირობებში და ისიც, თუ რა დოკუმენტების ძალით ჰქვობენ ამ ტყეებს.

ნაფიცი ვეკილი მალეგრიან მიხეილის-დე მარბოვსკი — ზარანეკ.

თბილისი, ბოლოვინის პროსპექტი, დობრეანსკის სახლი. ნახვა შეიძლება ყოველ დღე საღამოობით 7—9 საათამდე. (2—1)

სანიავებელი მაშინები

ჩვენებურის (კვერთ) ნალეწის გასანიავებლად, მოწყობილი ბ.ბ. შახ-ბეგისაგან და სამოილოვიჩისაგან, მხოლოდ რამდენიმე-ლა დარჩენილა. შასი 90 მან.

მსურველთ შეუძლიანთ ნახონ ალექსანდროვის ბაღში, სამეურნეო საზოგადოების სადგურში და ბ. შახ-ბეგთან, თბილისში, რკინის-გზის ვოკ-ზალზე, დეპოს ნაჩალნიკის სადგურში. მალაქს გარეშე მცხოვრებთ შეუძლიანთ შემდეგის აღრესით მომართონ: Тифлисъ жел. дор. вокзалъ, начальнику депо г-ну Казбеку.

წერილების მომწერლებს უმორჩილესადა ვსთხოვთ თავიანთი აღრესები სწორედ და დაწვრილებით შეგვაცუბინონ; აგრეთვე სანიავებელის გამოწერის დროს ისიც შეგვაცუბინონ, — თუ რკინის გზის რომელს სტანციაზედ მოისურვებს გამოწერილი მაშინა ჩაიბარონ. (10—9)

თბილისის სათავად-აზნაურთა ბანკის განყოფილებაში
 გამგეობა თბილისის თავდაზნაურთა საადგილ მამულო ბანკისა თანახმად თებერვლის 17 1881 წლის ბანკის წესდების § 15-ისა ამით აცხადებს, რომ 1885 წ. სექტემბრის 25 ს დღის 12 საათზედ თბილისში, ბანკის სადგომში სოლოლაკის ქუჩაზედ თავადი გრუზინსკის სახლში № 13 გაიყიდება ქვემო მოხსენებულთ პირთ უძრავი მამულები ამ ბანკილამ აღებული სესხზედ გარდასახადის შემოაუტანელობისათვის, წესდების §§ 13, 14, 15, 17, 18 და 19 თანახმად.

მაკაჯაშვილისა, ნინო სარდიონის ასული. ვენახი ზომით 6 დესეტ. მდებარე თბილისის გუბერნიის, სიღნაღის მაზრაში სოფ. ბაკურ-ციხეს. თავნი ვალი 1345 მან., გადასახადი 67 მან. 4 კაპ. სულ 1412 მან. 4 კაპ.

ნათიშვილისა, სოფიო გაბრიელის ასული. ვენახი ზომით ორი დესეტ. და 100 საყ. თბილისის გუბერნიის, დუშეთის მაზრაში სოფ. დამალაში. თავნი ვალი 1340 მან. გადასახადი 66 მან. 84 კაპ., სულ 1406 მან. 84 კაპეიკი.

ზანდუკუაი, ოტია გიორგის ძე. ვენახი შვიდი დესეტინა, თბილისის გუბერნიის, დუშეთის მაზრაში, სოფ. არაგვის-პირს. თავნი ვალი 1800 მან., გადასახადი 57 მან. 70 კაპ., სულ 1857 მან. 70 კაპ.

განჯაძისა, მართა მიხეილის ასული. სავენახე ადგილები 3 დესეტ. თბილისის გუბერნიის, სიღნაღის მაზრაში, სოფ. კარდანეში. თავნი ვალი 1400 მან., გადასახადი 47 მან. 10 კაპ., სულ 1447 მან. 10 კაპ.

ანდრონიკაშვილი, ალექსანდრე გიორგის-ძე. სახნავი, სამოსახლო, საძოვარი და სავენახე ადგილები ზომით 4 დესეტ. 960 კვადრ. საყ. თბილისის გუბერნიის, სიღნაღის მაზრაში სოფ. ზიარში. თავნი ვალი 800 მან., გადასახადი 65 მან. 40 კაპ. სულ 865 მან. 40 კაპ.

განჯაქე, გრიგოლ ნიკოლოზის-ძე. ვენახი ერთი დესეტ. 1200 კვადრ. საყ. თბილისის გუბერნიის, სიღნაღის მაზრაში სოფ. ბაკურ-ციხეში. თავნი ვალი 500 მან., გადასახადი 60 მან. 40 კაპ. სულ 560 მან. 40 კაპ.

განჯანაძე, ზაქარია ივანეს-ძე. ადგილი 7 დესეტ. და 920 კვადრ. საყ. თბილისის გუბერნიის, თელავის მაზრაში, სოფ. კურდღელაურში. თავნი ვალი 1700 მან., გადასახადი 82 მან. 8 კაპ. სულ 1782 მან. 8 კაპ.

გურგენაძისა, ქეთევან სოლომონის ასული. ვენახი 2 დესეტ. და 600 კვადრ. საყ. თბილისის გუბერნიის, თელავის მაზრაში სოფ. შილაში. თავნი ვალი 900 მან., გადასახადი 77 მან. 88 კაპ., სულ 977 მან. 88 კაპ.

გარჯანაძე, ალექსანდრე იაკობის-ძე. ვენახი მიწით 7 დესეტ. და 600 კვადრ. საყ. თბილისის გუბერნიის, მაზრაში საგაბაშვილო თხანვალაში. თავნი ვალი 2000 მან., გადასახადი 94 მან. 80 კაპ. სულ 2094 მან. 80 კაპეიკი.

ავაზსკი, არტემ თადეოზის-ძე. სავენახე და საძოვარი ადგილები ზომით 40 დესეტინა და 1900 კვადრ. საყ. თბილისის გუბერნიის, მაზრაში სოფ. ვალერიანოვკასთან. თავნი ვალი 1700 მან., გადასახადი 55 მან. 8 კაპ., სულ 1755 მან. 8 კაპ.

ნათიშვილი, მიხეილ გიორგის-ძე. ვენახი 2 დესეტ და 100 კვადრ. საყ. თბილისის გუბერნიის, დუშეთის მაზრაში სოფ. ქსოვრისში. თავნი ვალი 1200 მან., გადასახადი 104 მან. 4 კაპ., სულ 1304 მან. 4 კაპ.

ამილახვრისა, ანა ალექსანდრეს ასული. სახნავი მიწები და ვენახი ზომით 23 დესეტ., თბილისის გუბერნიის, გორის მაზრაში, სოფ. ფლავში. თავნი ვალი 1500 მან., გადასახადი 73 მან. 60 კაპ., სულ 1573 მან. 60 კაპეიკი.

მაქრობა თანხმად წესდებულების § 18 დაიწყება ზემო აღნიშნულის ვალიდამ თავის გადასახადებით. თუ ამ წლის სექტემბრის 25-ს ვაქრობა არ შესდგება, მაშინ წესდების 21 § ძალით დაინიშნება მეორე და უკანასკნელი ვაქრობა ოქტომბრის 9-ს. წესდების 16 § თანხმად მოვალეს ნება აქვს შემოიტანოს გარდასახადი სარგებლით ვალის გატარებისათვის და ის ხარჯიც, რომელიც მოუვა ბანკს მამულების გაყიდვის დაინიშნვით ვაქრობის დღემდის; ეს შეეხება მხოლოდ იმ მამულებს, რომლებზედაც აღებული თავნფულს ჯერ ვადა არ გასვლია. (3—1)

ი. ა. ფორბეჯის და დ. ს. სარაჯოვის სპირტისა და არყის დეპოში (თბილისში) დ. სარაჯოვის სახლებში სასახლის ქუჩაზედ).

იხილვა

დაწმენილი პური არაქი სხვა და-სხვა სორტისა და აგრეთვე სხვა-და-სხვა გვარი დაწმენილი სპირტი.

ვისაც ქალაქს გარედამ დაბარება უნდა, შემდეგის აღრესით უნდა დაიბაროს: Въ Тифлисъ. Въ оптовый складъ вина и спирта И. Пиракова и Д. Сараджева. (20—5)

განცხადებანი

სენაპის სათავად-აზნაურთა სასწავ-ლებლის ინსპექტორი აცხადებს

ქუთაისის გუბერნიის და განსაკუთრებით მეგრელის თავდაზნაურთა საცნობლად, რომ 1885 წ. ენკენის-